პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 30 სექტემბერი, 1942 წ. № 232 (6548). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 სექტემბრის დილის ცნობა

28 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში, მოზდოკის რაიონში და სინიავინოს რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მძიმე ბრძოლებს მტერთან. დიდ ზარალს აყენებენ მტერს საბჭოთა არტილერისტები. მათ დააზიანეს გერმანელთა 8 ტანკი, მოსპეს 15 ავტომანქანა, 13 ტყვიამფრქვევ...

...ბრძოლაში მტერმა 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 18 ტანკი, მოსპობილია 3 თვითმავალი ზარბაზანი, ხელთ ვიგდეთ 5 ქვემეხი.

* * *

კარელ-ფინელ პარტიზანთა რაზმმა ააფეთქა რკინიგზის ხიდი მაშინ, როდესაც მასზე ჯარის ეშელონი გადიოდა. მარცხის დროს დაიღუპა მტრის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი.

...

29 სექტემბრის საღამოს ცნობა

29 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში, მოზდოკის რაიონში და სინიავინოს რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

28 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპეს გერმანელთა 5 ტანკი, 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააჩუმეს საველე არტილერიის 5 ბატარია, ააფეთქეს 5 საწყობი საომარი მასალა, გაფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა სასტიკი ბრძოლები. მთელი დღის განმავლობაში მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებს ავიაციის დახმარებით ზედიზედ მოჰქონდათ იერიში ჩვენს პოზიციებზე ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენი ნაწილები წინანდელ პოზიციებზე რჩებოდნენ...

...გერმანელები თავდაპირველ პოზიციებზე უკუაქციეს.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენს პოზიციებზე იერიში მოიტანა რუმინელთა სამთო-მსროლელმა დივიზიამ. საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილმა ამხ. გორდეევის მეთაურობით კონტრდარტყმა აგემა რუმინელებს და უკუაქცია ისინი. ამ ბრძოლაში ამხ. კუზმინის ქვეგანაყოფმა მტრის მე-12 სამთო-მსროლელი ბატალიონი გაანადგურა. დახოცილია 300 რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამხ. შიტოვის ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ორ ასეულამდე ჰიტლერელი გაჟლიტეს და ხელთ იგდეს 11 ტყვიამფრქვევი და 3 ნაღმსატყორცნი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი ცალკეული ქვეგანაყოფების, სნაიპერებისა და მზვერავების საბრძოლო მოქმედების შედეგად ორი დღის განმავლობაში გაჟლეტილია 200-მდე მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია გერმანელთა 4 ტანკი, რამდენიმე დაზგის ტყვიამფრქვევი, 5 ავტომანქანა და 4 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად...

...ლებმა მტრის რამდენიმე იერიში მოიგერიეს. ბრძოლის შედეგად მოსპობილია გერმანელთა 11 ტანკი და გაჟლეტილია 350 ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები მტრის რიცხვობრივად ჭარბი ძალების მოწოლის გამო, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მალე საბჭოთა მებრძოლებმა მაშველი ძალები მიიღეს, კონტრიერიშზე გადავიდნენ და...

...ლაქებში სამხედრო ხელისუფლებმა ათი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტეს. ნიკოლაევში აეროდრომზე პარტიზანთა თავდასხმის შემდეგ გერმანელმა ხელისუფლებმა 500-ზე მეტი სრულიად უდანაშაულო კაცი დააპატიმრეს და დახვრიტეს. ერთ-ერთ ქუჩაში მე ვნახე 12 ჩამოხრჩობილი, მათ შორის 3 ქალი".

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

თბილისის მშრომელები ოქტომბრის დიდი რევოლუციის ისტორიული XXV წლისთავისათვის გმირ წითელ არმიას უმზადებენ ახალ-ახალ საჩუქრებს და აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას.

წითელი არმიისათვის საჩუქრების შესაგროვებლად მუშაობა გააჩაღეს თბილისის დეპოს მშრომელებმა. საამქროებში რამდენიმე დღის განმავლობაში უკვე შეგროვებულია დაახლოებით 7 ათასი მანეთი. ამ თანხით შეძენილი იქნება ტანსაცმელი, თამბაქო, ხილი, ღვინო და სხვ. საჩუქრების შეგროვების ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ...

...„გმირ მებრძოლს რუსთაველის ორდენოსანი თეატრის კოლექტივისაგან".

თბილისის № 4 კონიაკის ქარხანამ გააჩაღა მუშაობა საჩუქრების შესაგროვებლად. საჩუქართა შორის არის კაცვლები, ხილი, თამბაქო, ხელთათმანები და სხვ. **სამტრესტის № 2 ღვინის ქარხანამ** გმირ მებრძოლებისათვის დაამზადა და უკვე გადასცა რამდენიმე ასეული ბოთლი ღვინო და ყურძნის წვენი.

თბილისის № 2 თამბაქოს ქარხანაში საჩუქრების შეგროვების საკითხი განიხილეს პარტბიუროს სხდომაზე. გამოიყო საჩუქრების შემგროვებელი კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

...

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

მიმდინარე მომენტის ზოგიერთი საკითხი

(სორმოვოს მუშათა კრებაზე მიცემული შეკითხვები)

ამ დღეებში სორმოვოს მუშათა კრებაზე მიცემულ იქნა რამდენიმე შეკითხვა, რომელიც ეხება მდგომარეობას ფრონტებზე, ჩვენი მრეწველობის მუშაობას, სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და სხვ. ამ შეკითხვებიდან ზოგიერთი საერთო ინტერესს წარმოადგენს. ქვემოთ ვიძლევით პასუხს ამ შეკითხვებზე:

1. გერმანელთა ძირითადი ძალები ამჟამად რატომ არის მიმართული სტალინგრადის დაპყრობისაკენ?

გერმანელ ფაშისტთა არმიის სარდლობამ თავისი ჯარებისა და თავისი ვასალების — რუმინეთის, უნგრეთის, იტალიის, სლოვაკიის — ჯარების ძირითადი მასა მიაყარა სტალინგრადს და მიზნად დაისახა მძლავრი, მასირებული დარტყმით სწრაფად მიეღწია აქ დიდი სამხედრო-პოლიტიკური წარმატებისათვის. სტალინგრადისათვის ბრძოლას გერმანელ ფაშისტთა ჯარების გეგმებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთით 1942 წელს წარმოებულ მთელ მათს საომარ კამპანიაში.

ჰიტლერელთა ვარაუდი მეტად მარტივი იყო. გამოიყვანეს რა სამხრეთის წინააღმდეგ 100-მდე ქვეითი და სატანკო დივიზია, თავი მოუყარეს რა აქ თავისი სამხედრო ტექნიკის დიდ ნაწილს — რამდენიმე ათას ტანკსა და...

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრესა აღტაცებით სწერს სტალინგრადის გმირ დამცველებზე. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", განიხილავს რა სტალინ...

...სტალინგრადთან ბრძოლის არაჩვეულებრივად მძიმე პირობებზე, იმაზე, რომ საბჭოთა მებრძოლები თითქოს წესის მიხედვით არ ომობენ, არ სურთ დამარცხებულად სცნონ თავი (მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ეს დიდიხანია გამოაცხადეს!) და რომ არ შეიძლება სამხრეთში და სტალინგრადის რაიონში წარმოებული ბრძოლების მალე დამთავრებას ველოდოთ.

...—1942 წლის ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი, რომლის გამოყენებასაც გერმანელები ვარაუდობდნენ გამარჯვების მისაღწევად. სტალინგრადისათვის ბრძოლა ამით ფუშავს და აქარწყლებს ჰიტლერის არმიის გენერალურ გეგმას, რომელიც 1942 წლისათვის იყო შემუშავებული, რაც თავის გავლენას მოახდენს მომავალ ბრძოლებზე, მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებაზე.

2. ემზადებიან თუ არა გერმანელები ზამთრის საომარი კამპანიისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე?

ცნობილია, რომ გერმანელები, როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს იწყებდნენ, ვარაუდობდნენ მის დამთავრებას უმოკლეს ვადაში. ისინი არ ემზადებოდნენ 1941/42 წლის ზამთარში საომრად. წითელი არმიის მამაცურმა, გმირულმა წინააღმდეგობამ ჩაფუშა, გააცამტვერა ჰიტლერელთა ვარაუდი, აიძულა ისინი მოუმზადებელნი ჩაბმულიყვნენ წარსული ზამთრის საომარ კამპანიაში. შარშან ზამთარში წითელმა არმიამ მთელი რიგი სერიოზული დარტყმები აგემა მტრის არმიას...

...საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად დიდხანს გაგრძელდება ომი, სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს. ისტორია გვასწავლის, რომ ომი, მიუხედავად მისი უსწრაფესად დამთავრების მოლოდინისა, დიდხანს გრძელდებოდა ხოლმე".

მაშ ჰიტლერი და მისი ხროვა ესოდენ გულდაუჯერებლად და დარცხვენით რატომ ლაპარაკობენ მომავალი ზამთრის კამპანიის შესახებ აღმოსავლეთში? ეს სავსებით გასაგებია. გასულ ზამთარში გერმანელებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე აგემეს უდიდესი ძალის დარტყმები, რომლებმაც შეარყიეს ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერება. ახლანდელი ზამთარი გერმანელებს კარგს არაფერს უქადის. ამას განსაკუთრებით ცხადად გრძნობენ გერმანელი ჯარისკაცები.

აი ზოგიერთი ამონაწერი ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა ჩვენებიდან და დღიურებიდან.

გერმანიის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა კოშკურას მსროლელი ჰერბერტ რიტერი აცხადებს: „ყველა ამბობს, რომ მეორე ზამთარს ჩვენ ვერ გავუძლებთ. თუ წელს ომს ზამთრამდე ვერ დავამთავრებთ, მეორე ზამთარი რუსეთში გერმანიისათვის უაღრესად საზიანო იქნება".

გერმანელი ტყვე რადისტი, გერმანელთა...

...

3. რით აიხსნება, რომ გერმანელ ფაშისტთა არმია ოკუპირებულ რაიონებში ისეთ საშინელ მხეცობას სჩადის, როგორიც ომების ისტორიას არ ახსოვს?

ომების მსოფლიო ისტორიას მართლაც არ სცოდნია ისეთი სისხლიანი დანაშაულებანი, რომლებიც თუნდაც ოდნავ შეიძლებოდეს შევადაროთ იმ საშინელ მხეცობას, როგორსაც სჩადიან გერმანელები მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში და ოკუპირებულ ქვეყნებში. გერმანელები ხოცავენ, ძარცვავენ...

უწინარეს ყოვლისა გერმანელ ფაშისტ მძარცველთა არმიის კაციჭამიური ხასიათი აიხსნება იმით, რომ იგი მთლიანად აგებულია ჰიტლერის იმ დანაშაულებრივი ხროვის სახის მიხედვით, რომელმაც მოტყუების გზით ხელთ იგდო ძალაუფლება გერმანიაში. ჰიტლერი თვითონ არის ბოროტმოქმედი, რომელ...

...

ამის მსგავსი დოკუმენტები მრავალი და მრავალი ათასი მოიპოვება. ეს დოკუმენტები ცხადად გვიჩვენებენ ჰიტლერის ყაჩაღური არმიის მხეცურ სისხლმწყურვალე ბუნებას.

რით აიხსნება ის მხეცური მძვინვარება, რომლითაც ჰიტლერის ბანდიტური ურდოები ხოცავენ, ხვრეტენ, აპარტახებენ, ძარცვავენ, სწვავენ, აფეთქებენ, ყველაფერს სპობენ და ჰკლავენ თავის გზაზე?

...გერმანელ ჯარისკაცთა გვამებით იფინება ევროპა და განსაკუთრებით საბჭოთა მიწა-წყალი, რაც უფრო მტკიცე ხდება წითელი არმიის წინააღმდეგობა ჰიტლერელთა მოძალებული ურდოებისადმი, რაც უფრო მძლავრად ურტყამენ საბჭოთა მეომრები გათავხედებულ მხეცს, მით უფრო სწრაფად წავა გახრწნა ამ სისხლმოწყურებული ხროვისა, რომელიც თავის გარდუვალ კატასტროფამდე მივა.

4. რაში მდგომარეობენ ჩვენი გამარჯვების რეალური შესაძლებლობანი?

ომების ისტორიამ, შესაძლოა, ჯერ კიდევ არ იცის იმის მაგალითი, რომ არმიას მთელ რიგ სერიოზულ სამხედრო წარუმატებლობათა შემდეგ, როგორიც განიცადეს, მაგალითად, ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის განმავლობაში, შეენარჩუნებინა ძალები მტრის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის და შეურყეველი რწმენა თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებისა. ჩვენი ხალხის ეს რწმენა, რომ ახლანდელი დიდი ბრძოლა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისათვის მისი წარმატებით დამთავრდება, ეყრდნობა ჩვენი გამარჯვების სავსებით რეალურ შესაძლებლობებს, რომლებიც მათი უნარიანად გამოყენებით მიგვიყვანენ მტრის განადგურებამდე.

რაში მდგომარეობენ ჩვენი გამარჯვების ეს რეალური შესაძლებლობანი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავითვალისწინოთ ხუთი ძირითადი მომენტი.

1. ჩვენი გამარჯვების რეალურ პირობას წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ჰყავს დიდი, თანამედროვეულად შეიარაღებული, თანამედროვე ბრძოლის წარმოებაში გამოცდილი არმია, რომელიც იბრძვის კეთილშობილური, მაღალი მიზნებისათვის — საზიზღარი ოკუპანტებისაგან, ჰიტლერელი მონათმფლობელებისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ომების ისტორია გვასწავლის, რომ ის ხალხი, ის სახელმწიფო, რომლებმაც...

...შესაძლებლობანი, შესაძლებლობანი განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ არმიას ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტერთან წარმატებითი ბრძოლისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს აქვს ეს პირობაც მტრის წინააღმდეგ დიდი, მძიმე, მაგრამ საბოლოო ანგარიშით წარმატებითი ბრძოლისათვის.

3. ომების ისტორიაში ყოფილა არა ერთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში შეჭრილი მტრის არმიები უდიდეს ზარალს განიცდიდნენ არა მარტო მოწინააღმდეგის არმიისაგან, არამედ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისგანაც, რომელიც პარტიზანულ რაზმებად ირაზმებოდა და სერიოზულ დარტყმებს ახდენდა მტრის ზურგში. ახლანდელ ომში ამ ისტორიულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვა.

მტრის ზურგში ჩაღდება მეორე ომი, იხსნება კიდევ ერთი, მტრისთვის საშინელი, ფრონტი. დაპყრობილი საბჭოთა რაიონებისა და ოლქების მთელი მოსახლეობა თანდათანობით ფეხზე დგება საზიზღარ ოკუპანტებთან საბრძოლველად. გმირი საბჭოთა პარტიზანები არღვევენ მტრის კომუნიკაციებს, სპობენ მის საბრძოლო ტექნიკას, ანგრევენ კავშირგაბმულობას, უდიდეს ზარალს აყენებენ მტრის ცოცხალ ძალას. სავსებით უეჭველია, რომ ეს საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობა, რომელიც ამჟამად გერმანელთა ზურგში ჩაღდება, ფრონტებზე წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან შეერთებით გამარჯვებას მოუტანს საბჭოთა ხალხს.

4. ყველა დიდი ომის ისტორია აგრეთვე გვასწავლის, რომ სამხედრო ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კავშირს, რა არმიაცა და ტექნიკაც არ უნდა ყოფილიყო ამ სახელმწიფოს განკარგულებაში, მოეხერხებინა დედამიწის ზურგის მოსახლეობის უმრავლესობის დაპყრობა. თანამედროვე ბრძოლა კი დამახასიათებელია იმით, რომ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა სულ უფრო და უფრო აერთიანებს თავის ღონისძიებებს საზიზღარ გერმანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდება საბჭოთა სახელმწიფოს კავშირი დიდ დემოკრატიულ...

...მოუთხრის ჰიტლერის სამხედრო მანქანას. გერმანელ ფაშისტთა არმია დაიწყებს გახრწნას საბჭოთა ჯარების დარტყმების ზეგავლენით და ჰიტლერის მიერ წამოწყებული ომის დანაშაულებრივი, ბანდიტური მიზნების გამო.

ასეთია ჩვენი გამარჯვების რეალური პირობები.

გასაგებია რომ ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი აწარმოებს ჰიტლერისა და ევროპაში მისი მაჩანჩალების წინააღმდეგ, მოითხოვს ჩვენგან დიდ მსხვერპლს, ძალთა უდიდეს დაძაბვას და თითქმის არაადამიანურ ღონისძიებებს. ჩვენმა საბჭოთა ხალხმა უკვე დაამტკიცა, თავისი მამაცური ბრძოლითა და მუშაობით, რომ იგი არ მოერიდება არავითარ განსაცდელს, ოღონდ გაანადგუროს მტერი და უზრუნველჰყოს გამარჯვება.

გ. ალექსანდროვი

(„პრავდა", 27 სექტემბერი).

ზუგდიდის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 29 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 7.279.064 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.260.000 კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთლიდან 64,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი **ჩაჩიბაია**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **საჯაია**

სექტემბრის გეგმა ვადამდე შეასრულეს

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა 25 სექტემბერს ვადამდე შეასრულა სექტემბრის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 11.000 მანეთის პროდუქცია.

გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში პირველ ადგილზე გამოვიდა სამკერვალო საამქრო, რომელმაც 150 პროცენტით შეასრულა თვიური გეგმა (საქდესი).

ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესა „ფრონტის" შესახებ

ალექსანდრე კორნეიჩუკის ახალი ნაწარმოების ძალა, მკითხველებს შორის მისი წარმატების წყარო ის არის, რომ მხატვრული სახეები ნამდვილია და ცხოვრებიდან არის აღებული, გაბედულად და კეთილსინდისიერად არის დახატული. პიესაში აღძრულია უმნიშვნელოვანესი საკითხები, რაც აღელვებს ყოველ საბჭოთა პატრიოტს, — წითელი არმიის წარმატებისა და წარუმატებლობის საკითხები.

ძველი ბოლშევიკი, ნიჭიერი ინჟინერი მირონი პიესაში ამბობს: „ხალხს უყვარს და მოითხოვს მხოლოდ მცოდნე და ჭკვიან ხელმძღვანელებს". აი სწორედ ეს არის პიესის შინაარსი. მოკლე, მაგრამ მეტად მეტყველი და მნიშვნელოვანი ნახატებით არის ნაჩვენები ხალხი ომში, ნაჩვენები არიან მცოდნე და ჭკვიანი ხელმძღვანელები, უცოდინარი და უჭკუო ხელმძღვანელები. ომმა ყველა შეამოწმა. ვინც სასტიკი გამოცდა ვერ ჩააბარა, გარიყული აღმოჩნდა. ასეთია სინამდვილის გაკვეთილი. საბჭოთა ქვეყანაში ვერაფერი ვერ იხსნის უცოდინარსა და უჭკუო ხელმძღვანელს, — ვერც პირადი ვაჟკაცობა, ვერც ძველი დამსახურება.

დრამატიული კონფლიქტი ფრონტზე, შტაბის ვითარებაში ხდება. რომ კიდევ უფრო ხაზგასმით აღენიშნა ბრძოლის მთელი მნიშვნელობა, კორნეიჩუკმა ამ ბრძოლაში ერთი ოჯახის წევრები შეაჯახა ერთმანეთს. ფრონტის სარდალს ივანე გორლოვს უვიცობაში, ჩამორჩენილობაში, გონებაშეზღუდულობაში ამხილებენ მისი ღვიძლი ძმა მირონი და მისი ღვიძლი შვილი სერგი. ივანე და მირონ გორლოვები თითქმის ტოლნი არიან. ორივე სამოქალაქო ომის მონაწილეა. მაგრამ ივანე საბჭოთა ცხოვრების ძველ მხარეს განასახიერებს, მირონი კი ახალს. შვილი მამას კი არ მიჰყვება, არამედ ბიძას. მას არ ეშინია კავშირი გასწყვიტოს საყვარელ მამასთან. იგი აშკარად ჰგმობს მას: „მოხუცი, მამაჩემი, დიდი ჭკუის კაცი არ არის. საწყენი კია".

სწორედ ასევე ალექსანდრე კორნეიჩუკს, საბჭოთა მწერალ-პატრიოტს, არ ეშინია საყოველთაო-სახალხოდ სთქვას მწარე სიმართლე იმაზე, თუ რა უშლის ხელს მტერზე ჩვენს გამარჯვებას, ზოგიერთი ჩვენი მეთაურის მიერ სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებზე. პიესა მკვეთრად, მკაცრად აკრიტიკებს ამ მეთაურთა საქმიანობას. კორნეიჩუკი გაბედულად და გადაჭრით აღნიშნავს წითელი არმიის ჩრდილოვან მხარეებს, რაც ხელს უშლის ჩვენს გმირებს გერმანელთა განადგურებაში. იგი არ ერიდება იმას, რომ გამოააშკარაოს ფრონტის სარდლის უვიცობა და დაგვანახვოს, რომ დიდი გენერლის ზვიადობისა და ხელოვნური მედიდურობის ქვეშ იმალება გონებაშეზღუდულობა და უვიცობა, ჩამორჩენილობა, კონსერვატიზმი, იმის სურვილის უქონლობა, რომ მხარდამხარ მიჰყვეს მოწინავე სამხედრო მეცნიერების განვითარებას.

სუსტი არმია, რომელიც ცოტათი ან სრულებითაც არ არის დარწმუნებული თავისი საქმის სიმართლეში, გამარჯვებაში, ომის დროს ვერ გაბედავს აშკარად აღიაროს თავისი შეცდომები და დაუყოვნებლივ შეუდგეს მათ გამოსწორებას. „ცვლის დროს ცხენებს ვერ შესცვლიო", — ამ ანდაზას ეფარება ყველა, ვისაც ეშინია გადაჭრით დასძლიოს ნაკლოვანებანი, გამოასწოროს შეცდომები. მხოლოდ ძლიერ არმიას, რომელსაც სწამს თავისი ძალა, რომლის ნებისყოფა გამარჯვებისადმი ურყევია, არ ეშინია — საჯაროდ აღნიშნოს თავისი შეცდომები, არ ეშინია გასწიოს დიდი მუშაობა შეცდომების გამოსასწორებლად. საბჭოთა ხალხს არ ეშინია თვალი გაუსწოროს სიმართლეს, იმიტომ რომ მტკიცედ სწამს წითელი არმიის ძალა, კარგად იცის, რომ ძირითად ტონსა და მიმართულებას წითელ არმიაში იძლევიან არა ცხოვრებას ჩამორჩენილი ივანე გორლოვის ტიპის ადამიანები, არამედ ახალი ადამიანები, ისეთნი, როგორიც ოგნევია. წითელი არმიის ნაკლოვანებათა აშკარა კრიტიკა ჩვენს ძალას მოასწავებს. მათი ლიკვიდაცია საბჭოთა არმიას კიდევ უფრო ძლიერს, კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანს გახდის.

ეს ნაჩვენებია კორნეიჩუკის პიესაში და სწორედ ეს შეადგენს პიესის მხატვრულ მნიშვნელობას.

* * *

ომი აკადემია როდია, ომი სკოლა როდია, ომში ომობენ და არა სწავლობენ—ასეთია აზრი ივანე გორლოვის მრავალი აფორიზმისა, რომლებიც გამოთქმულია ძველი მეომრის მთელი აპლომბით. მაგრამ ნამდვილად ომი სამხედრო მეცნიერების უმაღლესი სკოლაა, ომი ცოდნის შემოწმებაც არის. გორლოვმა ვერ ჩააბარა შემოწმება, გამოცდა. იგი ჩაიჭრა, ვინაიდან არ უნდოდა ეღიარებინა თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ძალა.

მაგრამ გორლოვის უბედურება მარტო ის კი არ არის, რომ იგი ომში არა სწავლობდა. მას არც ომამდე უნდოდა სწავლა. თავის ავტობიოგრაფიულ ნაამბობში იგი თავს იწონებს იმით, რომ „არავითარი უნივერსიტეტი არ გაუვლია", აკადემიაში არ ყოფილა, რომ იგი „თეორეტიკოსი" კი არ არის, არამედ „ომში ნაცადი ძველი ბედაურია", იგი გერმანიაშია ნამყოფი. შეამჩნია თუ არა მან ის ახალი რამ თანამედროვე ომის ტაქტიკაში, რასაც გერმანიის გენერალური შტაბი ამზადებდა? არა. იგი ამბობს: „გერმანია არ მომეწონა. მოსაწყენია. აი საფრანგეთში კი მართლა რომ ვიცხოვრეთ". ასე მოაღწია გორლოვმა ახლანდელ ომამდე ისე, რომ ვერ ისწავლა ახლებურად, თანამედროვე წესით ომი.

ივანე გორლოვი პირადად მამაცი ადამიანია. გორლოვს კარგი წარსული აქვს. იგი ბუნებით დაჯილდოებული ადამიანია. იგი კარგად იბრძოდა სამოქალაქო ომში. გორლოვს შეეძლო პირველხარისხოვანი სარდალი გამოსულიყო. იგი უყვარდათ მეთაურებსა და მებრძოლებს. იგი უყვარდა საკუთარ ვაჟიშვილს, რომელსაც მამის გამბედაობა დაჰყვა მემკვიდრეობად. მას წარსული წლების მდიდარი გამოცდილება აქვს, რასაც სრულიადაც არ დაუკარგავს თავისი ფასი. როგორ ესაჭიროება სამშობლოს ასეთი ხალხი! რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ მათ! საქმე წლოვანება როდია. გორლოვი ჯერ კიდევ არ არის მოხუცი, თუმცა მას „მოხუცს" ეძახიან. სწორად აღნიშნავს ჰაიდარი, რომ ძველი სარდლები შეიძლება თანამედროვე ომის უფრო მეტი მცოდნენი დადგნენ, ვიდრე ახალგაზრდები, ოღონდ ერთი პირობით: თუ მოისურვებენ ისწავლონ ომის გამოცდილებით.

მაგრამ სწორედ ეს სურვილი არა აქვს გორლოვს. სამოქალაქო ომის გამოცდილებამ, იმ ომისა, რომელშიც ტექნიკა — ავიაცია, ტანკები, ავტომატური იარაღი — მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, ყალბ დასკვნებამდე, ტექნიკის შეუფასებლობამდე და, მაშასადამე, სამხედრო მეცნიერების შეუფასებლობამდე მიიყვანა იგი. გორლოვის სტრატეგია პრიმიტიულ კვეთებზეა დამყარებული. აი მისი აფორიზმი: „ყველა მტერს დავამარცხებთ, არა რადიოკავშირით, არამედ გმირობით, მამაცობით, ომი რისკია და არა არითმეტიკა".

გორლოვი უგულებელჰყოფს სამხედრო კულტურას. „ყველანი სამხედრო კულტურაზე ლაყბობენ",—ზიზღით შენიშნავს იგი ზოგიერთი თავისი მეთაურის შესახებ. გორლოვის ყველა ეს სიტყვები ისე გაისმის, როგორც უვიცობის გამართლება. მისი შეცდომა, რომელიც დანაშაულს უახლოვდება, ის არის, რომ მამაცობასა და გულადობას იგი სამხედრო კულტურასა და მეცნიერებას უპირისპირებს, ესენი კი თანამედროვე ომში ერთმანეთთან უნდა იყოს შეხამებული. მარტო მათი შეხამება იძლევა ძალას. იქ, სადაც მათ კონფლიქტი აქვთ ერთმანეთთან, აუცილებელია სამხედრო სისუსტე, მარცხი.

„გამბედაობა და სიმამაცე გმირობის მხოლოდ ერთი მხარეა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1936 წელს. — მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა უნარი. ამბობენ, გამბედაობით ქალაქების აღება შეიძლებაო. მაგრამ ეს მარტო მაშინ შეიძლება, როცა გამბედაობა, გულადობა, რისკისათვის მზადყოფნა საუცხოო ცოდნასთან არის შეხამებული".

ივანე გორლოვის უხეში უბრალოება, მისი ტონი ძველი მეომრისა საბაბს აძლევს გორლოვის გარშემო მყოფ მლიქვნელებს „სუვოროვისებური" ტაქტიკა უწოდონ მის ტაქტიკას. ამაზე მეტი შეცდომა არაფერია! სუვოროვი დიდად აფასებდა სამხედრო ცოდნას და თვითონაც თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული გენერალი იყო. კვეთების მოთხოვნას იგი „თვალზომის", გამარჯვების განმსაზღვრელ ყველა პირობათა სასტიკი გათვალისწინების მოთხოვნას უხამებდა. ყველასათვის ცნობილია სუვოროვის სიტყვები: **„ომობენ არა რიცხვით, არამედ უნარით".**

გორლოვმა არ იცის, მას არ ესმის, არა სურს გაიგოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტექნიკას თანამედროვე ომში. ტექნიკამ ახალი ხერხები შეიტანა ომში. გორლოვი დაუფლებული არ არის ამ ხერხებს. ამიტომ უმდიდრესი ტექნიკა იმ შედეგებს არ იძლევა, რასაც იგი თანამედროვე წესით ომის მცოდნე ადამიანთა ხელში მოიტანდა.

უბედურება ის არის, რომ გორლოვის სამხედრო ჩამორჩენილობა მის ირგვლივ ვრცელდება. მისი უახლოესი თანაშემწენი ისეთივე უვიცები არიან.

გორლოვს არ შეუძლია დანერგოს მეთაურთა შემადგენლობაში სამხედრო კულტურისადმი პატივისცემა, საქმით, ომის გამოცდილებით სწავლის სურვილი და უნარი. თუ კორნეიჩუკმა მხატვრული მხილების საგნად ფრონტის სარდლის ფიგურა ამოირჩია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ პოსტზე ყველაზე უფრო მკაფიოდ, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ჩანს ჩამორჩენილობის საშიშროება, სამხედრო მეცნიერებისა და სამხედრო კულტურის ფეხებზე დაკიდების საშიშროება. ნამდვილად გორლოვი კოლექტიური სახეა მრავალი პატარა გორლოვისა — საშუალო მეთაურებისაც და უმცროსი მეთაურებისაც.

სამხედრო მეცნიერების შესწავლა, მისი დაუფლება საჭიროა ყველასათვის, მებრძოლისთვისაც და სერჟანტისათვისაც ისევე, როგორც არმიისა და ფრონტის სარდლისათვის.

* * *

გორლოვის უახლოესი გარემოცვა, მისი შტაბის ზედაფენა ისეთივე უვიცი ადამიანებისაგან შესდგება, როგორიც თვითონ არის. ავტორი აქ არ შეჩერდა ერთგვარი მხატვრული გაზვიადების წინაშე. ხრიპუნის, კრიკუნის, ტიხის, უდივიტელნის სახელები ხაზგასმით გვიჩვენებენ მის განზრახვას. ეს გამართლებულია პიესის სატირული გააზრებით. კორნეიჩუკს ამოცანად როდი დაუსახავს მოეცა რომელიმე გარკვეული შტაბის ფოტოგრაფიული სურათი. მან განზოგადებული თვისებები აღნიშნა. ასეთი მახინჯი ხრიპუნი ან კრიკუნი შეიძლება ნამდვილად არც კი არსებობდეს. ხრიპუნისა ან კრიკუნის თვისებებს შეიძლება სხვადასხვა ადგილას წავაწყდეთ, შეიძლება სხვადასხვა ადამიანებში შევხვდეთ. ისინი არც ისე იშვიათნი არიან.

შემთხვევითი როდია, რომ ამ კოლექციამ გორლოვის ირგვლივ მოიყარა თავი. ყველა ამ ტიპებმა გორლოვის უვიცობის ჩრდილში მოიკალათეს. აქ ისინი კარგად გრძნობენ თავს. საერთო წესის თანახმად, ისინი თვით გორლოვზე უარესები არიან, რომელიც, ყველა თავისი ნაკლოვანების მიუხედავად, თავის ტყავზე არა ფიქრობს, მხდალი არ არის, მატყუარა არ არის. მათ ყველას ჩამორჩენილობა აერთიანებს. არც ერთი მათგანს—არც მოხუცსა და არც ახალგაზრდას—არა სურს სწავლა. ამიტომ ისინი ყველანი ბრმები არიან. ფრონტის სარდლის შტაბის უფროსი ბლაგონრავოვი თავისი ბუნებით მოხელეა. უდივიტელნი ძველებურად ეწევა დაზვერვას. ამიტომ ნამდვილად არავითარი დაზვერვა არ არსებობს. იმის ნაცვლად თავიდან ბოლომდე თვალისახვევაა. სამხედრო კორესპონდენტი კრიკუნი უსირცხვილო ცრუპენტელა და მლიქვნელია, რომელსაც არა სურს დაინახოს ცხოვრება, სამამულო ომის ნამდვილი გმირები. ტყუილად კი არ ამბობს იგი თავის თავზე: „მე რომ იმას ვწერდე, რაც მინახავს, ყოველდღე წერას ვერ შევძლებდიო".

ყველა ამ ადამიანებს, რომელნიც ავტორისა და მკითხველის სამართლიან გულისწყრომას იწვევენ, გორლოვის შტაბი ისე იზიდავს, როგორც ფარვანას ცეცხლი. მან თვითონაც იცის მათი ფასი. მაგრამ პირფერობით განებივრებულს, მას მლიქვნელები ესაჭიროება. იგი ვერ იტანს თვითკრიტიკას. ყოველი კრიტიკული შენიშვნა პირად შეურაცხყოფად, თავისი ავტორიტეტის შებღალვად მიაჩნია. თავისი უხეშობით იგი ზოგიერთ მეთაურს მოსწონს. სამხედრო კულტურისადმი თავისი დაცინვით იგი ზოგიერთის გემოვნებას შეეფერება. ფრონტის სარდლის პოსტზე გორლოვის ყოფნის საშიშროება, სწორედ ის არის, რომ ის არც თვითონ სწავლობს და სხვებსაც ხელს უშლის ისწავლონ თანამედროვე წესით ომი.

სწორედ ეს იწვევს გორლოვის შეჯახებას წითელი არმიის ფაქტიურ ხელმძღვანელ შემადგენლობასთან, მის რიგით შემადგენლობასთან. გორლოვი ცხოვრებას ჩამორჩა და წითელი არმიის კუდში აღმოჩნდა. ცხადად ჩანს, რომ იგი ჩამორჩენილია თანამედროვე სამხედრო მეცნიერებას, ჩამორჩენილობის ბეჭედი აზის ყველაფერს, რაც გორლოვისაგან გამომდინარეობს და, უწინარეს ყოვლისა, მის ოპერატიულ გეგმებს. ოგნევის სიტყვით, მათში აზრი არა ჩანს. ფრონტი ომს ფრონტის სარდლის გეგმით კი არ ეწევა, არამედ მთავარი ბანაკის მიერ დამტკიცებული არმიის სარდლის ოგნევის გეგმით. რთული და საშიში მდგომარეობა გორლოვის პირადი დრამით მთავრდება. მას საქმეს აშორებენ. „ვნახოთ, როგორ იომებთ უჩემოდ",—ამბობს გამომშვიდობებისას გორლოვი. მაგრამ ცხადია, რომ უგორლოვოდ უფრო კარგად იომებენ. გორლოვთან ერთად ასპარეზს სტოვებს მთელი მისი გარემოცვა. ოგნევთან ერთად მოდიან თვით ომის მიერ დაწინაურებული ახალი, ომში შემოწმებული ადამიანები, რომელთაც ახლებურად ომი ისწავლეს.

* * *

პიესის პირველი სურათი გორლოვის შტაბს გამოხატავს. იმას თვითონ უკავია მთავარი ადგილი სურათში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ გორლოვია მთელი პიესის ცენტრალური ფიგურა. აქედან წარმოსდგება მკითხველის შიში, აქედან იბადება შეშფოთებული კითხვები: სწორი კია ეს სურათი? მეტად გამუქებული ხომ არ არის ფერადები? საჭირო კი იყო, რომ ომის დროს ასე ეჩვენებინათ უმაღლესი სარდლობა?

პირველ სურათს მოსდევს სხვები და პიესაში იცვლება ყველა მასშტაბი. გორლოვი უკან დგება. იგი პატარავდება, სამაგიეროდ იზრდებიან სხვები — ოგნევი, მირონი, არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ორლიკი, გენერალ-მაიორი კოლოსი, სერგი გორლოვი და მისი გმირი არტილერისტები — „მოციქულები". სწორედ ესენი ხდებიან პიესის ნამდვილი ცენტრალური ფიგურები. ისინი არიან საბჭოთა ხალხის, წითელი არმიის წარმომადგენელნი და არა გორლოვი. ისინი არიან წითელი არმიის დღევანდელი დღე, ხოლო გორლოვი გუშინდელი დღეა.

ოგნევი სოფლის მასწავლებლის შვილია. სამოქალაქო ომის დროს იგი, გორლოვის სიტყვით, „მაგიდის ქვეშ დადიოდა". მაგრამ იგი გორლოვზე ნაკლებად როდი ეკუთვნის წითელ არმიას.

მან მთელი თავისი ახალგაზრდობა სამხედრო საქმის სწავლაში გაატარა, წითელ არმიაში გაიზარდა, მთელი არსებით არის მასთან დაკავშირებული. მისთვის ძვირფასია სამოქალაქო ომის ტრადიციები, მაგრამ ისინი ახლის შესწავლაში ხელშემშლელ დოგმებად როდი ქცეულან მისთვის. იგი სწავლას განაგრძობს ომში, ყურადღებითა და კრიტიკულად აკვირდება მტერს, სხვებსაც მოუწოდებს მტრისაგან ისწავლონ მისი ძალების ზედმეტად შეუფასებლად. როცა მისი შტაბის უფროსი ზედმეტად აქებს გერმანელთა ხერხს, ოგნევი შენიშნავს: „არაფერი ხერხი მათ არ მოუგონიათ. პირიქით, ცუდად იყენებენ ჩვენს სისულელეს, ძალიან ცუდად".

ოგნევი ახალგაზრდაა. „მან ომი დაიწყო როგორც პოლკოვნიკმა. სამი თვის შემდეგ გენერალ-მაიორობა მიიღო, ამჟამად კი არმიის სარდალია". პიესის უკანასკნელ სცენაში მას ფრონტის სარდლად ნიშნავენ. ეს სამამულო ომში ნიჭიერი ახალგაზრდობის დაწინაურების ტიპიური სურათია: ოგნევი მოკრძალებით აცხადებს, რომ იგი მეტად ახალგაზრდაა, თავს ვერ გაართმევს ფრონტს. ოგნევის მიერ თავის ახალგაზრდობასთან დაკავშირებით ნათქვამის პასუხად ჰაიდარს მოჰყავს **სტალინის** სიტყვები. **„სტალინი** ამბობს,—აცხადებს ჰაიდარი, — რომ ძველ მხედართმთავრებთან ერთად უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდა, ნიჭიერი მხედართმთავრები და უდავაწინაუროთ ისეთნი, რომელთაც უნარი შესწევთ აწარმოონ ომი თანამედროვე წესების მიხედვით და არა ძველებურად, რომელთაც უნარი შესწევთ ისწავლონ თანამედროვე ომის გამოცდილებით, უნარი შესწევთ გაიზარდონ და წინ წაიწიონ".

ასეთია ოგნევი, ასეთია სამოქალაქო ომის მონაწილე, გორლოვის ამხანაგი ძველი გენერალ-მაიორი კოლოსიც. ასეთია არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ორლიკი. ასეთი იყო ნიჭიერი სერგი გორლოვი, რომელიც მამაცთა სიკვდილით დაიღუპა. ასეთები არიან შესანიშნავი სერჟანტები — ოსტაპენკო, გომელაური, ბამლიკოვი, შაიამეტოვი — სერგის სახელოვანი „მოციქულები", თავდადებული საბჭოთა პატრიოტები, რომელნიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იცავდნენ ჩვენს დიად სამშობლოს. სწორედ იმათგან შესდგება ჩვენი არმია.

ოგნევს თავისი გარემოცვა ჰყავს. გვარდიის უფროს ლეიტენანტ სერგი გორლოვის ქვეგანაყოფი თავისი უფროსის უსაზღვრო ერთგულია, უყვარს იგი, რწმენა აქვს მისი, ვინაიდან ხედავს, რომ იგი მცოდნე, მამაცი, ჭკვიანი ხელმძღვანელია. სერგი უსაზღვროდ ერთგულია გენერალ-მაიორ ოგნევისა, რწმენა აქვს მისი, ღვიძლ მამაზე გაცილებით უფრო მაღლა აყენებს, ვინაიდან ხედავს, რომ იგი მცოდნე, მამაცი, ჭკვიანი ხელმძღვანელია. ამ რწმენით არის შეკავშირებული წითელი არმია. გორლოვის ჩამოშორებაში შემთხვევითი არაფერია. იგი მისმავე საკუთარმა მშობლიურმა წრემ მოიშორა, ყველაზე უწინ ღვიძლმა ძმამ და ღვიძლმა შვილმა გამოუტანეს მას განაჩენი.

წითელმა არმიამ ზრდაში გაუსწრო ისეთ მეთაურებს, რომლებმაც არ ისურვეს სწავლა და ამიტომ არ იციან თანამედროვე წესით ომი. წითელი არმია უფრო ძლიერი გახდა. თავისი შინაგანი ძალის ამ შეგნებაში სიმართლის მკვეთრი და პირდაპირი სიტყვა გაისმის. მხოლოდ სისუსტე მალავს ლაჩრულად თავის ნაკლოვანებებს, ძალას არ ეშინია მათი გამომჟღავნებისა, რათა მოსპოს ისინი.

კორნეიჩუკი როდი გამოუგონია დაგმობის, კრიტიკის, აღშფოთების ის სიტყვები, რომლებიც მან ათქმევინა მირონს, სერგის, ოგნევს, კოლოსს. მან ეს სიტყვები წითელ არმიაში გაიგონა. მან ეს მხატვრული ფორმით გაიმეორა. რასაკვირველია, მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ვერ მიხვდებიან კორნეიჩუკის პიესას, ეწყინებათ. ყველა ხრიპუნსა და ტიხის ჩვენი ნაკლოვანებების ესოდენ მკვეთრი კრიტიკა „საშიშრად" მიაჩნიათ. მათ ხომ ყოველთვის ეშინოდათ—„ვაი თუ ცუდი რამე გამოვიდესო". რასაკვირველია, კრიკუნებს არ გაეგებათ, თუ რისთვის დაიბეჭდა კორნეიჩუკის პიესა. ისინი ახლა გაჰყვირიან. ასეთი კრიკუნები არ არსებობენ. მაგრამ ისინი სწორედ იმიტომ არიან კრიკუნები, რომ მუდამ ყვირიან, ცხოვრება დაუნდობლად გარიყავს ისეთ ადამიანებს, რომელთაც არ სურთ კრიტიკულად შეხედონ თავიანთ საქმიანობას, არ სურთ ისწავლონ თანამედროვე ომის გამოცდილებით.

* * *

კორნეიჩუკის პიესა დროულად გამოვიდა. „სიმართლე ყველაფერზე მაღლაა"—ამბობს ამ პიესაში ძველი გენერალ-მაიორი კოლოსი. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება, ყველაფერი მოგვეპოვება, რაც საჭიროა მტერზე გამარჯვებისათვის, ჩვენი სამშობლოს დაცვისათვის, კაციჭამია ფაშისტების მოსპობისათვის. სამშობლო პირველხარისხოვან ტექნიკას აძლევს წითელ არმიას. იგი არაფერს ზოგავს გამარჯვებისათვის. რა გვაკლია ჩვენ? „მას მხოლოდ ერთი რამ აკლია—იმის უნარი, რომ მთლიანად გამოიყენოს მტრის წინააღმდეგ ის პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც მას ჩვენი სამშობლო აძლევს" (**სტალინი**). ამოცანა მთელი წითელი არმიისა, დაწყებული უმაღლესი მეთაურებით და გათავებული რიგითი მებრძოლებით, არის გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები, შეისწავლონ თავიანთი იარაღი. მეთაურთა იარაღი არის ჯარების გაძღოლის საქმე, ჯარის გვარეობათა ურთიერთმოქმედება. ხოლო ამისათვის მეთაურებმა ომის თანამედროვე ხერხები უნდა შეისწავლონ, ისწავლონ თანამედროვე წესით ომი. სადაც არ არსებობს სწავლის დაჟინებითი სურვილი, იქ არც წესრიგია. იქ იწყება უთანხმოება.

კორნეიჩუკის პიესა მოგვიწოდებს შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ თავგასულობას, თავშეუყვარებლობას, კონსერვატიზმს, მლიქვნელობასა და პირფერობას. პიესა აიძულებს ყველა მუშაკს იფიქროს, კრიტიკულად მოეკიდოს თავის ნაკლოვანებებს, ეცადოს განუწყვეტლივ გააუმჯობესოს თავისი საქმიანობა.

სამამულო ომის ცეცხლში ახალი მებრძოლები, ახალი მეთაურები იჭედებიან. წითელი არმია უფრო და უფრო გამოწრთობილი ხდება, იგი აგროვებს თანამედროვე ომის ძვირფას გამოცდილებას, სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება მისი წინააღმდეგობა მტრისადმი. სამხედრო კულტურის ზრდასთან ერთად იზრდება კრიტიკული დამოკიდებულებაც გორლოვის ტიპის სამხედრო მოღვაწეებისადმი. წითელი არმია საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ აშკარად აიღდინოს დაბრკოლებანი, რაც მისი სამხედრო ოსტატობის ზრდას ეღობება გზაზე. კორნეიჩუკის პიესა „ფრონტის" გამოქვეყნება მოწმობს წითელი არმიის, ჩვენი სახელმწიფოს უდიდეს ძალასა და სიცოცხლის უნარს. ვინაიდან მხოლოდ ისეთ არმიას, რომელიც მტკიცედ უყურებს მომავალს, რომელიც დარწმუნებულია გამარჯვებაში, შეუძლია ესოდენ პირდაპირ და მკვეთრად გამოააშკარაოს საკუთარი ნაკლოვანებანი, რათა აღკვეთოს ისინი. **ლენინი და სტალინი** მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბოლშევიკები მოვალენი არიან აშკარად აღიარონ თავიანთი ნაკლოვანებანი, გამოავლინონ მათი მიზეზი, მიიღონ ზომები მათი სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის. ასეთი თვითკრიტიკა, ამბობდნენ **ლენინი და სტალინი,** სერიოზული და ძლიერი პარტიის ნიშანია, ხოლო შიში იმისა, რომ აღიარონ ნაკლოვანებანი, იმის სურვილის უქონლობა, რომ გამოასწორონ ეს ნაკლოვანებანი, შიში თვითკრიტიკისა სისუსტის და თავისი საქმის სიმართლის რწმენის უქონლობის აშკარა ნიშანია.

ძლიერებით, რწმენით არის გამსჭვალული კორნეიჩუკის პიესაც. პიესაში ახალი მოწინავე ადამიანების გამარჯვება წარმატებას მოასწავებელია. გამარჯვება ეკუთვნით კეთილშობილი სერგის გმირ „მოციქულებს", ნიჭიერ ოგნევს, საბჭოთა მრეწველობის ისეთ მუშაკებს, როგორიც არის მირონი, მთელ წითელ არმიას, საბჭოთა ხალხს.

(გადმოცემულია საკდესის მიერ რადიოთი).

სასტიკი ბრძოლა სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 29 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელებმა ახალი ქვეითი და სატანკო დივიზიები მოიშველიეს და ახალი ძალით დაიწყეს სტალინგრადზე შემოტევა. გუშინ განთიადიდან გვიან ღამემდე სწარმოებდა სასტიკი ბრძოლები. მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა ჩვენ საბრძოლო წყობილებას. ერთ წუთსაც არ შეუწყვეტია ცეცხლი მტრის არტილერიას. ახლახანს მოყვანილმა გერმანელთა ქვეითმა დივიზიებმა ათობით ტანკის დახმარებით შემოუტიეს ჩვენი თავდაცვის მარჯვენა ფლანგს. საბჭოთა მებრძოლები მთელ დღეს მამაცურად იგერიებდნენ მტრის შემოტევას. საწვავსითხიანი ბოთლებით შეიარაღებულმა არტილერისტებმა, ჯავშანმტერევლებმა და ქვეითებმა ცეცხლი წაუკიდეს მტრის ბევრ მანქანას. ბრძოლის ველი დაიფარა ჰიტლერელთა ასობით ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამით. მაგრამ საღამოსათვის მტრის ტანკების ჯგუფმა მოახერხა მუშათა დაბაში შემოჭრა.

სხვა უბანზე გერმანელებს განუწყვეტელი იერიშები მოჰქონდათ მნიშვნელოვან მაღლობზე. გვარდიელებმა მტრის ყველა იერიში მოიგერიეს. მაღლობი ჩვენ დაგვრჩა. საბჭოთა მეომრები მტკიცედ აკავებდნენ მტრის შემოტევას. აქ ბრძოლა ქუჩებში განსაკუთრებით სასტიკი იყო. ხელჩართული ბრძოლა სწარმოებდა ყოველი სახლისათვის, კიბის ყოველი ბაქნისათვის. მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში სტალინგრადის სახელოვანმა დამცველებმა მოსპეს ფაშისტთა 50-მდე ტანკი და გერმანელთა ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

Ნ ნაწილის ნაღმმტყორცნელებმა გაწყვიტეს ასობით და ათასობით ჰიტლერელი, რომლებიც ქალაქის გარეუბანში შემოიჭრნენ. ჰიტლერელთა დიდი კოლონა პირწმინდად მოსპო ნაღმმტყორცნელთა გუნდმა მებრძოლების ზუევის, ნიკიტინისა და კრივცოვის შემადგენლობით. ნაღმსატყორცნის მემიზნე მაკუხინმა პირველივე სროლით მოსპო მტრის ავტომანქანა და ჰიტლერელთა ჯგუფი.

დიდ ზარალს აყენებს მოწინააღმდეგეს ჩვენი ავიაცია. ერთი დღის განმავლობაში Ნ ავიანაწილის მფრინავებმა დაბომბეს ფაშისტების მიერ გამაგრებული 23 შენობა, ტანკების დიდი დაჯგუფება, 11 ავტომანქანა, ავტოცისტერნი, ჩააჩუმეს არტილერიის 8 ქვემეხი, 8 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, 6 ნაღმსატყორცნი. ამავე ნაწილის თვითმფრინავებმა, რომლებიც სხვა უბანზე მოქმედებდნენ, გასწყვიტეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და ჩააჩუმეს საზენიტო და საველე არტილერიის ბატარეები. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის რამდენიმე ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი.

დ. შჩუკინი

გააფთრებული ბრძოლები მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 28 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მოზდოკის რაიონში არ ცხრება გააფთრებული ბრძოლები. მტერი სისხლისაგან იცლება და განაგრძობს ჩვენი თავდაცვითი ზღუდეების იერიშებს. ჰიტლერელები გაფაციცებით ეძებენ სუსტ ადგილებს საბჭოთა თავდაცვაში, ცდილობენ გაარღვიონ იგი და გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ცენტრებისაკენ. მაგრამ ფაშისტების ყველა ეს ცდა კრახს განიცდის.

მოწინააღმდეგეს ბრძოლაში სულ ახალ-ახალი სატანკო კოლონები გამოჰყავს, განუწყვეტლივ იშველიებს ახალ რეზერვებს ღრმა ზურგიდან. გუშინ ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა უბნებზე ჩვენს პოზიციებზე იერიში მოიტანა გერმანელთა 200-მა ტანკმა. ისინი მოდიოდნენ ჯგუფებად 35-50 მანქანა თითოეულში. ყოველი ასეთი ჯგუფის უკან კი მოდიოდა ორიდან სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენს ქვეით ჯარზე მტრის, ტანკების მთავარი დარტყმა 6 შენაერთს დააწვა. მამაცურად და თავდადებულად დაუხვდნენ საბჭოთა მეომრები გერმანელთა ჯავშნიან მანქანებს. ჩვენი არტილერისტები და ჯავშანმტერევლები, მარჯვე ცეცხლით სპობდნენ ფაშისტთა ტანკებს. მაგრამ გადარჩენილი მანქანები მაინც შემოიჭრნენ ჩვენს საბრძოლო წყობილებებში. ეს იყო ძნელი მომენტი თავდაცვაზე მყოფთათვის. მაგრამ მებრძოლთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა მხდალი. ჩვენი ქვეითი ჯარი უკლებლივ დარჩა თავის ზღუდეებზე. ამოქმედდა „ჯიბის არტილერია" — ტანკსაწინააღმდეგო გრანატები და საწვავნარევიანი ბოთლები. ზედიზედ წაეკიდა ცეცხლი მტრის მანქანებს. ჰიტლერელებს დიდი ზარალისა შეეშინდათ და უკან გაბრუნდნენ. გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, ჯავშნიანი ფარი რომ მოაკლდა, ბრძოლის ველზე ბევრი მოკლული დასტოვა და ჩვენი მეომრების დარტყმებით პირვანდელ პოზიციებზე დაიხია.

განსაკუთრებული შეუპოვრობით ებრძოდნენ გერმანელ დამპყრობლებს არტილერისტები. როცა ფაშისტებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე, ლეიტენანტი ფედოტოვი არტილერიის ბატარიის ცეცხლს აკორექტებდა სამეთვალყურეო პუნქტიდან. არტილერისტების ზუსტი ცეცხლით გერმანელებს დიდი ზარალი მიადგათ. მაგრამ აი სამეთვალყურეო პუნქტს გარს შემოერტყნენ მტრის მეავტომატეები.

— ცეცხლი ჩემკენ! — გადასცა ბატარიას ლეიტენანტმა.

ფედოტოვი დაიღუპა, მაგრამ მისი სიკვდილი ძვირად დაუჯდათ გერმანელებს. ბრძოლის შემდეგ წითელარმიელებმა 100-ზე მეტი გერმანელთა გვამი დაითვალეს.

იმ საქვემეხო გუნდის არტილერისტებს, რომელსაც ვასილ დემინი მეთაურობს, ცეცხლითი პოზიცია ეჭირათ სოფლის განაპირას. გერმანელებმა აქეთ გამოუშვეს მანქანებისა და მეავტომატეების დიდი ჯგუფი.

დემინმა ბრძანება გასცა, ბრძოლისთვის მოემზადეთო. როცა ტანკები 500 მეტრზე მოახლოვდნენ, მემიზნე ნაუმოვმა მათ სროლა აუტეხა, რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე კვამლი ასდიოდა მტრის 4 მანქანას.

გერმანელები მიხვდნენ, აქ ვერ გავალთო, სწრაფად გაშალეს თავისი მანქანები და ფლანგებიდან შემოვლა იწყეს. გულხელდაკრეფილნი არც საბჭოთა არტილერისტები ისხდნენ. მათ სწრაფად მიაბრუნეს ქვემეხი და სამი სროლით ცეცხლი წაუკიდეს მტრის კიდევ 2 ტანკს. მტერი აწვებოდა. იგი, ალბათ, მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა ერთი ქვემეხის გუნდთან. მტრის ყუმბარამ კონტუზია მიაყენა მემიზნე ნაუმოვს, ქვემეხი წუთით დადუმდა. ტანკები უკვე 100 მეტრზე იყვნენ. მემიზნის ადგილი დემინმა დაიკავა. კვლავ გაისმა სროლის ხმა. დაზიანებულია კიდევ მტრის 5 ტანკი. ჰიტლერელები შედრკნენ და უკან გაბრუნდნენ, ბრძოლის ველზე კი დასტოვეს 12 აალებული და დაზიანებული ტანკი.

გვარდიის წითელარმიელ ალექსანდრე რიკოვსკის პოზიციაზე 2 ტანკი მოდიოდა. გვარდიელმა დაუცადა, სანამ ისინი 25 მეტრზე დაუახლოვდებოდნენ, წამოდგა და ზედიზედ სტყორცნა ორი ტანკსაწინააღმდეგო გრანატი. ტანკები შეჩერდნენ. ამ დროს რიკოვსკისაკენ წამოვიდა მოტოციკლისტთა ჯგუფი. ავტომატის ჯერით მან მოკლა 3 გერმანელი, დანარჩენებს შემოტევის სურვილი დაეკარგათ. მაგრამ აი გვარდიელს მიეპარა ფაშისტი ოფიცერი და გრანატი ესროლა. რიკოვსკიმ იმარჯვა, ჰაერში დაიჭირა გრანატი და უკანვე ესროლა ჰიტლერელებს. გერმანელი ოფიცერი ნაკუწ-ნაკუწად დაიგლიჯა.

გვარდიის ლეიტენანტი მანდრიკოვი ჰიტლერელებს ავტომატის მარჯვე ჯერებით სპობდა, ხოლო როცა ავტომატი გაფუჭდა და მისი სროლა აღარ შეიძლებოდა, ლეიტენანტმა დანა იძრო და ოთხი ფაშისტი მოკლა.

ამ დღის განმავლობაში მტერს ბევრ სხვადასხვა უბანზე შეუპოვარი იერიშები მოჰქონდა. და მხოლოდ ერთ უბანზე შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მტერმა მოახერხა დასახლებული პუნქტის დაკავება.

დღეს ბრძოლები ახალი ძალით გრძელდებოდა.

ბ. ოზაროვსკი

ბრძოლა ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 29 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა ბრძოლა ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ფაშისტთა სარდლობამ აქ თავი მოუყარა გერმანელთა და რუმინელთა რამდენიმე პოლკს, ტანკები დაახმარა მათ და შეტევაზე გადმოვიდა.

მტერმა ჯერ მოახერხა ერთ ადგილას სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. მაგრამ ეს წარმატება ხანმოკლე იყო. ნაშუადღევსვე 6 ნაწილის მებრძოლები კონტრიერიშზე გადავიდნენ, მტერი უკუაქციეს და დაიკავეს დასახლებული პუნქტი და მაღლობი, რომელიც მიდამოს დაჰყურებს.

მეზობელ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა, რომელნიც მტრის გააფთრებულ შემოტევას აკავებდნენ, გაჟლიტეს 200-მდე რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს ერთი საარტილერიო და ორი ნაღმსატყორცნი ბატარია. საბჭოთა არტილერისტებმა გაფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის კოლონა, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა.

ნოვოროსიისკთან ბრძოლებში განსაკუთრებით გამოირჩევა საზღვაო ქვეითი ჯარი. ჩვენი ქვეგანაყოფის ერთ-ერთი ფლანგი შებოჭილი იყო მტრის ტყვიამფრქვევთა ძლიერი ცეცხლით. სახლის ნანგრევებში კარგად შენიღბული გერმანელი მეტყვიამფრქვევეები უვნებელნი რჩებოდნენ. წითელფლოტელმა გრაჩოვმა იკისრა საცეცხლე წერტების მოსპობა. გრაჩოვმა წაიღო 4 ტანკსაწინააღმდეგო გრანატი, ფარულად მიხოხდა ერთ ტყვიამფრქვევთან და ზედიზედ ესროლა ორი გრანატი. ჰაერში ავარდა მთელი გუნდი ტყვიამფრქვევიანად. გრაჩოვი არ დაყოვნებულა. მეორე ტყვიამფრქვევთან მივიდა და მოსპო იგი. მტრის ცეცხლი ერთბაშად შენელდა. მაშინ მეზღვაურებმა გაბედული კვეთებით გარეკეს გერმანელები მათი პოზიციებიდან და მტრის დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს.

ძლიერი საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ მტერმა მოახერხა წინ გამოეყვანა მეავტომატეთა ჯგუფი. ლეიტენანტმა პილიპენკომ და 17-მა მეზღვაურმა ფლანგიდან მოუარეს მტრის ჯგუფს და ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს გერმანელებს. წითელფლოტელებმა ხიშტითა და კონდახით 60 ჰიტლერელი დახოცეს, ვინც გადარჩა, უკუაქციეს.

საბჭოთა მეომრები გაბედულ გამოხდომას აწყობენ გერმანელების მიერ დაკავებულ ნოვოროსიისკში. ამას წინათ ჩვენი 8 მებრძოლი უფროსი სერჟანტ ზარანკინის მეთაურობით ქალაქის ცენტრში შეიჭრა და თავზარი დასცა მტერს. უფროსი სერჟანტი ერმოლაევი ტყვიამფრქვევიანად მიუახლოვდა მტრის არტილერისტების საცეცხლე პოზიციებს და ორი ქვემეხის გუნდები მოსპო.

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დარტყმა აგემეს რუმინელთა მესამე სამთო ეგერთა ქვეითს პოლკს. ამ ბრძოლაში რუმინელებმა დიდძალი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მარტო მოკლულთა სახით. წამოღებულია 63 ტყვიამფრქვევი, 900 შაშხანა, 12 ათასი ვაზნა, 300 ნაღმი, 20 ნაღმსატყორცნი და სხვა სამხედრო ქონება. წამოყვანილია ტყვეები.

სხვა უბანზე ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ ჩვენი ჯარების კონტრდარტყმით უკუქცეულ იქნა თავდაპირველ პოზიციებზე.

ბრძოლები გრძელდება.

ი. ლაპონოგოვი

„საჭიროა ძლიერი დარტყმა დასავლეთში"

ინგლისური გაზეთები ევროპის კონტინენტზე აქტიური მოქმედების საჭიროების შესახებ

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკდესი). ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი ჰარვინი გაზეთ „სანდი ექსპრესში" სწერს: „ინგლისელ ხალხს ეძნელება შეურიგდეს იმას, რომ გადასდონ ვადა დახმარების აღმოჩენისა საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც დიდებულ ბრძოლას ეწევა და რომელსაც მძიმე მსხვერპლის გაღება უხდება. ინგლისში ფიქრობენ, რომ ჯერ არასოდეს ამის მსგავსი არაფერი განუცდიათ. ეს ჩრდილს აყენებს ჩვენს სახელს, რომ ძლიერი, მაგრამ დახმარებას მოკლებული მოკავშირე მარტო ეწევა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ".

გაზეთი „რეინოლდს ნიუსი" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ ინგლისის ავიაცია დიდ ზარალს აყენებს გერმანიის მრეწველობას, მაგრამ „იგი ვერ აშორებს აღმოსავლეთს ჯავშანსატანკო დივიზიებს. ნაცისტებს ბრძოლაში გამოჰყავთ არა მარტო თავისი არმიის მთავარი ძალები, არამედ მთელი რეზერვები. გერმანიამ მთელი თავისი რესურსების გამოყენების უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ამას ადასტურებს კაიროს ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანიის ავიაცია აფრიკიდან გადაჰყავთ რუსეთში. საჭიროა მძლავრი დარტყმა დასავლეთში, რათა გაძლიერდეს დაძაბვა, რომელსაც ჰიტლერის სამხედრო მანქანა განიცდის რუსების გმირობის შედეგად. მაგრამ ეს დარტყმა ჯერ კიდევ არ არის მიყენებული. როდესაც მოლოტოვი მოკავშირე სახელმწიფოების ინგლისისა და ამერიკის დედაქალაქებში იყო, აღიარებულ იქნა გადაუდებელი ამოცანები 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნისა. თავისუფალი სამყარო კვლავ მოელის ამ ვალდებულების შესრულებას".

საჰაერო განგაშის დროს ოსლოში

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სტოკჰოლმში მიღებული ცნობებით, 25 სექტემბერს ინგლისის მიერ ოსლოს დაბომბვამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ქალაქის ცენტრს. შვედური გაზეთი „ავტონტიდნინგენი" სწერს: „როგორც კი კვისლინგის მომხრეებმა ქუჩები დასტოვეს, ოსლოს მოსახლეობამ აშკარად გამოხატა თავისი სიხარული. საფრთხის მიუხედავად, რამდენიმე კაცი სახურავებზე ავიდა და ხელის ქნევით მიესალმებოდა ინგლისელ მფრინავებს. ქუჩებში ეროვნული ჰიმნის მომღერალ ადამიანთა ჯგუფები გაჩნდა. როგორც იუწყებიან, არეულობის შიშით გესტაპოს აგენტებმა პიკეტები დააყენეს დედაქალაქის მთავარ გზაჯვარედინებზე. სასტუმროში, სადაც გერმანიის არმიის უმაღლესი თანამდებობის ოფიცრები ცხოვრობდნენ, ბომბი აფეთქდა".

დახვრეტა „ომის საწინააღმდეგო დისკუსიისათვის" რუმინეთში

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, ბუქარესტიდან მიღებული ცნობების თანახმად რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ანტონესკუმ ხელი მოაწერა დეკრეტს სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ „სამრეწველო საწარმოებში ომის საწინააღმდეგო დისკუსიისათვის". ეს ღონისძიება მიაჩნიათ იმის დამადასტურებლად, რომ რუმინეთში იზრდება ომის საწინააღმდეგო განწყობილება.

ბრძანება

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსისა ტრანსპორტის შუქშენიღბვის რეჟიმის შესრულების შესახებ

1942 წლის 29 სექტემბერი

№ 4 ქ. თბილისი

ამ ბოლო დროს ქ. თბილისში ადგილი ჰქონდა ავტოტრანსპორტის, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვაგონების მიერ შუქშენიღბვის რეჟიმის დარღვევის მასობრივ შემთხვევებს.

ტრანსპორტის დიდ რაოდენობას შუქშენიღბვა სრულებით არა აქვს მოწყობილი. სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებების მეთაურები, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები საკმაოდ არ მოითხოვენ მათი ხელქვეითი პირებისაგან ტრანსპორტის შუქშენიღბვის დარგში წესრიგის დაცვას.

შუქშენიღბვის რეჟიმის გაძლიერების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. დაღამებისთანავე ქალაქში დაშვებული არ იქნას იმ ავტომანქანების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ვაგონების მოძრაობა, რომლებსაც არ ექნებათ შუქშენიღბვის დაწესებული ნიმუშის მოწყობილობანი.

2. ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის შუქშენიღბვის სამსახურის უფროსმა ამხ. **ბახტაძემ** უზრუნველჰყოს დაინტერესებულ მეურნეობათა გაცნობა შუქშენიღბვის დაწესებული ნიმუშის მოწყობილობებთან.

3. ნაწილების მეთაურებმა, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა 2 დღე-ღამის ვადაში გაუკეთონ მაშუქებს, სტოპ-სიგნალებსა და შიდაგაშუქებას შუქშენიღბვის დაწესებული ნიმუშის მოწყობილობანი.

მაშუქქვედები, პროჟექტორები და შუქის სხვა ხელსაწყოები ავტომანქანებზე გამოირთოს გამაშუქებელი ქსელიდან.

4. დაღამებიდან ქალაქში ავტომანქანების სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს საათში.

წინ მიმავალი მანქანებისათვის გასწრება აიკრძალოს.

5. ღამით საჰაერო განგაშის გამოცხადებისას ტრანსპორტის გამძღოლნი, რომელთაც მიმოსვლის ნებართვები აქვთ, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამორთონ გაშუქება.

6. მანქანები, რომლებიც დაარღვევენ შუქშენიღბვის რეჟიმს, **ჩამოართმეულ იქნას** და სამხედრო კომენდანტის მეშვეობით ჩაბარდეს ავტოჯავშანსატანკო სამმართველოს. ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი დაპატიმრებულ იქნან 6 თვემდე ვადით ან გადახდეთ ჯარიმა 3 ათას მანეთამდე.

7. ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტმა და მილიციის უფროსმა უზრუნველჰყონ თვალყურის დევნება ამ დადგენილების შესრულებისათვის.

ქ. თბილისის გარნიზონის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი პოლკოვნიკი
მახონკოვი

ქ. თბილისის გარნიზონის სამხედრო კომისარი
დივიზიის კომისარი **მამონოვი**

„რუსი ადამიანები"

გრიბოედოვის თეატრში

30 სექტემბერს გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს სტალინური პრემიის ლაურეატის კ. სიმონოვის პიესას „რუსი ადამიანები". პიესას სდგამს ა. რუბინი, მხატვრობა ეკუთვნის პ. ლოქტინს.

მთავარ როლებს ასრულებენ: ნ. შელეხოვა, ვ. ბრაგინი, ა. სმირანინი, ვ. ზახაროვა, ო. ლაკონსკაია, ა. ლემერგარდტი, ფ. ბალაბანი, კ. დობეინსკი, ე. დუმენსკი, ს. დრაგო, ა. ლიპნიცკი, მ. ფედოროვი.

„ფრონტის ხაზისაკენ"

თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორმა გამოუშვა კინონარკვევი „ფრონტის ხაზისაკენ", რომელსაც ამჟამად კინოთეატრებში უჩვენებენ. მოკლემეტრაჟიან ფილმში ნაჩვენებია იმ შენაერთის საბრძოლო სწავლება, სადაც კომისარია ამხ. ხუსკივაძე. ფილმი გვიჩვენებს, როგორ ეუფლებიან სამხედრო ტექნიკას წითელი მებრძოლები. სწავლება ძალიან დაახლოებულია საომარ პირობებთან. ზოგიერთი სცენა (თვითმფრინავების მიერ მტრის პოზიციების დაბომბვა, საარტილერიო სამზადისი, მავთულხლართების გაჭრა, დანაღმული მოედნის გაუვნებლობა და სხვ.) დიდი ოსტატობით არის გადაღებული.

ფილმში გადაღებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. სტურუას შეხვედრა მებრძოლებთან და უკანასკნელთა მიერ ფიცის მიღება. კარგად არის ნაჩვენები შენაერთის გაზეთის გამოშვება საველე პირობებში, ღია ცისქვეშ.

ფილმის რეჟისორები არიან ი. კანდელაკი და შ. ჩაგუნავა, ოპერატორები—ლ. არზუმანოვი და მ. ნარიმანაშვილი. მუსიკა დასწერა ა. ბუკიამ. ეს გადამღები ჯგუფი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფრონტებზე მუშაობს. მან უკვე გადაიღო მთელი რიგი საბრძოლო ეპიზოდები და ნარკვევები. ამჟამად ამხ. ი. კანდელაკის ჯგუფი კვლავ მიემგზავრება ფრონტზე.

ლექციები და მოხსენებები

30 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია, თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

თეატრებში

1 ოქტომბერს: სახოპერო—„[illegible]". რუსთაველის სახელობის — „ოტელო". მარჯანიშვილის სახელობის — „ხანუმა". გრიბოედოვის სახელობის—„რუსი ხალხი". სომხური თეატრი — „ნამუსი". ახუნდოვის სახელობის —„ოქტა ელ ოგლუ". მუსიკალური კომედიის — „აყვავებული ბაღი". სანკულტურის — „პირისპირ". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „წითელქუდა".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ლენინგრადი ბრძოლაში". ოქტომბერი—„ხიდი". დამკვრელი — „საბრძოლო კინოკრებული № 4". კომკავშირელი — „მესაზღვრეები". სპარტაკი — „მე დავბრუნდები", ლუქსემბურგის სახ.—„საიდუმლო კუნძული", 26 კომ. სახ.—„გიორგი სააკაძე", კომინტერნი—„ხიდი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან როსტომ შადურის მეუღლის

ეკატერინე დავითის-ასულ ბასიტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/IX, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 1229

№ [Ნ] ჰოსპიტლის პირადი შემადგენლობა იუწყება ამავე ჰოსპიტლის უფროსის ექიმ შ. ს. ლორთქიფანიძის სიდედრის

ნინო (ნინუცა) ლუარსაბის-ასულ ქლენტის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 1/X 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 26. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1231

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უთ 9791